საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის

დადგენილებაN3

1 მარტი 2013 წ.

ქ.თბილისი

”რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ” საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 30 ივნისის №6 დადგენილებაში დამატებების შეტანის შესახებ

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლის მე-7 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტების საფუძველზე, კომუნიკაციების ეროვნული კომისია კენჭისყრის შედეგად ერთხმად **ადგენს:**

მუხლი 1

„რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ” საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 30 ივნისის №6 დადგენილებას (სსმ 05.07.2006 N 90, მუხლი 1211) დაემატოს შემდეგი რედაქციის 1^3 და 1^4 პუნქტები:

„1^3. კომისია 87.5–108 მჰც სიხშირულ დიაპაზონში თავისუფალი სიხშირული რესურსის განაწილებას ახორციელებს 2 წელიწადში ერთხელ, ყოველი მეორე წლის პირველ მაისამდე ამ გეგმის საფუძველზე, ელექტრომაგნიტური თავსებადობის მეთოდებისა და საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანების (ITU) რეკომენდაციების გათვალისწინებით. ამასთან:

ა) 87.5–108 მჰც სიხშირულ დიაპაზონში ციფრული ფორმატით რადიომაუწყებლობის და/ან სხვა ტექნოლოგიური განვითარების დანერგვის შემთხვევაში, ითვალისწინებს ელექტრომაგნიტური თავსებადობის შესაბამისი მეთოდების გამოყენებას;

ბ) ითვალისწინებს 87.5–108 მჰც სიხშირულ დიაპაზონში სიხშირული რესურსის მოთხოვნის პერსპექტივას, დასახლებული პუნქტების (მათ შორის მცირე სიმჭიდროვის დასახლების) მაუწყებლობით მოცვის მიზნით.

1^4. კომისია ამ დადგენილების 1^3 პუნქტის შესაბამისად განაწილებულ 87.5–108 მჰც სიხშირულ დიაპაზონში თავისუფალ სიხშირულ რესურსს ყოველწლიურად, საჯარო გაცნობისათვის, აქვეყნებს საკუთარ ვებ-გვერდზე.”

მუხლი 2

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის წევრი	**ირაკლი მოსეშვილი**
კომისიის წევრი	**კარლო კვიტაიშვილი**

კომისიის წევრი

აკაკი სიხარულიძე